



როგორ დავუჭიროთ მხარი შეზღუდული შესაძლებლობის  
მქონე ახალგაზრდების მონაწილეობას ახალგაზრდული  
მუშაობის აქტივობებში

გზამკვლევი ახალგაზრდული მუშაკებისთვის

გზამკვლევი შემუშავებულია ახალგაზრდულ მუშაკთა სერტიფიცირების პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ, საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციას, ჩეხურ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას People In Need და World Vision საქართველოსთან თანამშრომლობით.

გზამკვლევის მომზადებას მხარი დაუჭირა ორგანიზაციამ People In Need პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში.

გზამკვლევი მომზადებულია ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით.

გზამკვლევში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს პარტნიორი და დონორი ორგანიზაციების პოზიციას.

ავტორი: სულხან ჩარგეიშვილი  
ტრენერ-კონსულტანტი ახალგაზრდული მუშაკებისა  
და სოციალური ინკლუზიის საკითხებში

თბილისი, 2017

## შინაარსი

ზოგადი მიმოხილვა.....	4
ინკლუზია, შეზღუდული შესაძლებლობა სახეები და მოდელები - სოციალური მოდელის მნიშვნელობა .....	5
ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობა და მისი პრინციპები - ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობა შესაძლებელია .....	12
ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობის პროცესი 10 ნაბიჯად (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება) .....	19
ტერმინები სწორი და არასწორი ტერმინების მიმოხილვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებთან კომუნიკაციის პროცესში .....	23
როგორ დავაინტერესოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები? .....	25
ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობის დაგეგმვა, პროგრამის საჭიროებებზე მორგება (ადაპტირება) - ადაპტირების მნიშვნელობა დამახასიათებლები .....	27
რჩევები ახალგაზრდული მუშაკებისთვის - ინკლუზიური აქტივობების დაგეგმვა.....	30
იდეები პრაქტიკისთვის - მაგალითი აქტივობის ადაპტირებისთვის.....	33
აქტივობის ადაპტირების პროცესის წარმოსადგენად გთავაზობთ შესაბამის მაგალითს.....	33
ბრძოლა ფორთოხლისთვის .....	35
ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობის მდგრადობა, ინკლუზიური კულტურის დანერგვა ორგანიზაციაში.....	39
დამატებითი რესურსები.....	41
გამოყენებული ლიტერატურა .....	44

## ზოგადი მიმოხილვა

### გზამკვლევის შექმნის წინაპირობა

საქართველოში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ახალგაზრდული მუშაობა<sup>1</sup>. ახალგაზრდული და ახალგაზრდებთან მომუშავე ორგანიზაციები აქტიურად ქმნიან სერვისებსა და შესაძლებლობებს, რათა ახალგაზრდული მუშაობა რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდისთვის იყოს ხელმისაწვდომი. 2017-2018 წლებში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციის მიერ ხორციელდება ახალგაზრდულ მუშაკთა სერტიფიცირების პროგრამა. აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს გადაამზადოს 20 ახალგაზრდული მუშაკი, რომელთაც სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მიენიჭებათ საბაზო ახალგაზრდული მუშაკის სერტიფიკატი. სერტიფიცირებული ახალგაზრდული მუშაკები განაგრძობენ საქმიანობას სკოლებსა და ახალგაზრდულ ცენტრებში..

პროგრამის საორგანიზაციო გუნდს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია გადამზადებულ ახალგაზრდულ მუშაკებს თავიანთი პროგრამის შეთავაზება შეეძლოთ ყველა ახალგაზრდისთვის, განურჩევლად შეზღუდული შესაძლებლობისა, სქესისა, რწმენისა, კანის ფერისა თუ სხვა სოციალური თუ პიროვნული ფაქტორისა. ორგანიზაციის **People In Need** მხარდაჭერით შემუშავდა აღნიშნული გზამკვლევი, რომელიც სერტიფიცირების პროცესში ჩართულ ახალგაზრდულ მუშაკებს და სხვა დაინტერესებულ პირებს დაეხმარება ახალგაზრდული მუშაობა გახადოს ყველა ახალგაზრდისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი.

### გზამკვლევის მიზანი?

#### გზამკვლევის მიზანია ახალგაზრდულ მუშაკებს:

- დაეხმაროს ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობის აქტივობების დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში
- მისცეს ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის საკითხების შესახებ და დაეხმაროს მათ გაიაზრონ სოციალური მოდელის მნიშვნელობა

<sup>1</sup> საგანმანათლებლო საქმიანობა ახალგაზრდებთან და ახალგაზრდებისთვის, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურებრივი კონტექსტის მიღმა და ხელსუწყობს ახალგაზრდებს განვითარებას დაკეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას (სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, 2014)

წახალისოს ახალგაზრდული მუშაკები ადაპტირება გაუკეთონ ახალგაზრდული მუშაობის აქტივობებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არ მქონე მონაწილეებმა შეძლონ აქტივობებშიერთად ჩართვაგზამკვლევეში წარმოდგენილი საკითხები ძირითადად შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ინკლუზიურ ჯგუფებში მონაწილეობის თემატიკას და არ ფარავს სხვა მოწყვლადი ახალგაზრდული ჯგუფების საჭიროებებს. თუმცა რომ გზამკვლევეში წარმოჩენილი თემატიკა შესაძლოა სხვა ჯგუფებისთვისაც შესაბამისი იყოს.

### ვისთვისაა გზამკვლევი განკუთვნილი?

გზამკვლევი შენთვისაა თუ:

- ხარ ახალგაზრდული მუშაკი ან მუშაობ ახალგაზრდებთან კომპეტენციების განვითარების მიმართულებით
- გაინტერესებს გაიგო როგორ ჩართო შენს აქტივობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები ისე, რომ ისინი შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე ახალგაზრდებთან ერთად სრულფასოვნად მონაწილეობდნენ აქტივობების თითოეულ ეტაპზე
- ფიქრობ, რომ ნამდვილი ინკლუზია შესაძლებელია (ან თუ ჯერ კიდევ ყოყმანობ, გზამკვლევი ამის დადასტურებაში დაგეხმარება)

### როგორია გზამკვლევის სტრუქტურა?

გზამკვლევეში წარმოდგენილია ინფორმაცია ინკლუზიის მნიშვნელობის, შეზღუდული შესაძლებლობის სახეების და მოდელების შესახებ. გზამკვლევი ახალგაზრდულ მუშაკებს სთავაზობს იდეებს ახალგაზრდული მუშაობის პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში ინკლუზიური მიდგომის დანერგვის შესახებ. გზამკვლევის შინაარსობრივი ნაწილი ნაკლებადაა დატვირთული თეორიული მასალით. ის უფრო მეტად პრაქტიკული სახისაა. სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით მოცემულია დამატებითი რესურსები, სადაც ახალგაზრდული მუშაკები შეძლებენ სიღრმისეულად გაეცნონ ამა თუ იმ საკითხს.

### ინკლუზია, შეზღუდული შესაძლებლობა სახეები და მოდელები - სოციალური მოდელის მნიშვნელობა

#### რას ნიშნავს ინკლუზია?

დღეს სხვადასხვა სახის მედიაში, საგანმანათლებლო პროგრამებსა თუ პროფესიულ საუბრებში ხშირად შეხვედებით ტერმინს „ინკლუზია“. საინტერესოა ვიცოდეთ, რას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ, რომ „ჩვენი საქმიანობა ინკლუზიურია“ ან როდესაც ინკლუზიური პროექტების ორგანიზების სურვილს გამოვთქვამთ. მაინც რას ნიშნავს „ინკლუზია“?

იმისათვის, რომ გავიგოთ ინკლუზიის ძირითადი არსი გთავაზობთ რამდენიმე განმარტებას.

**სოციალური ინკლუზია** არის ტერმინი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას მთელი რიგი პოზიტიური ქმედებების აღსაწერად, რომელთა განხორციელების შედეგადაც შესაძლებელი გახდება, რომ ყველა ადამიანს თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი სხვადასხვა რესურსზე და მომსახურებაზე; იგი ხელს **უწყობს ყველა ინდივიდის მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში**, მხარს უჭერს ყველა ადამიანს საკუთარი წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, გაიაზროს დისკრიმინაციის შესაძლებლობა და წინ აღუდგეს დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმით გამოვლინებას.

ინკლუზია ეს არის პროცესი და არა შედეგი, რომელიც აფასებს ინდივიდს და ინდივიდუალური მახასიათებლების მიუხედავად, ყველა ადამიანს სთავაზობთ მონაწილეობის შესაძლებლობას.

შეზღუდული შესაძლებლობის კონტექსტში ინკლუზია, როგორც ტერმინი გამოიყენება იმისთვის, რომ ხაზი გაესვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სრულფასოვან ჩართულობას ბარიერების გარეშე საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში.

ხშირად ადამიანები შეცდომას უშვებენ და ინკლუზიას გამოიყენებენ, როგორც ზედსართავ სახელს არასწორ კონტექსტში. მაგალითად, **ინკლუზიური მოსწავლე**.

დავფიქრდეთ ამ ტერმინის სისწორეზე, ინკლუზიური შეიძლება იყო განათლება, რომელიც ყველა მოსწავლეს განათლების მიღების თანაბარ შანს სთავაზობს და არა თავად მოსწავლე. ხშირად მსგავს შეცდომებს ადგილი აქვთ, როდესაც უნდა აღნიშნონ ამა თუ იმ მოსწავლის განსხვავებულობა (მაგ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე). განა ჩვენ ყველა ინდივიდები და განსხვავებულები არ ვართ?

ინკლუზიის შედარებით მარტივი და „ახალგაზრდული“ განმარტებები:

ნამდვილი ინკლუზია გულისხმობს ნორმალურად ურთიერთობას სხვა ახალგაზრდებთან (რაც მოიცავს მეგობრობას, კინკლაობას, ეჭვიანობას და ა.შ.) და უფროსებთან (მათი მაგალითის მიზაძვა, სწავლა, დატუქსვა, ავტორიტეტის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება და ა.შ).

ახალგაზრდების ინკლუზია სხვა არაფერია თუ ისეთი სივრცის შექმნა და შენარჩუნება სადაც ყველას საჭიროება გათვალისწინებულია, იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა სრულფასოვანი მონაწილეობა შეძლონ. ამ სივრცეში, მრავალფეროვნება ზეიმიანია, ყველა დაფასებულია და ყველას აქვს აზრის დაფიქსირების საშუალება. ინკლუზია სასარგებლოა ყველა ბავშვისა და ახალგაზრდისთვის.

**შეზღუდული შესაძლებლობის სახეები**

ხშირად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ხსენების დროს ასახელებენ ეტლით მოსარგებლე ადამიანებს, უსინათლო ადამიანებს, სმენის არ მქონე ადამიანებს. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის სახეები მხოლოდ ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის ფორმით არ შემოიფარგლება.

უნდა გვხასოვდეს ისიც, რომ შეზღუდული შესაძლებლობა ყოველთვის ვიზუალურად გამოხატული არ არის. მაგალითად აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ახალგაზრდას შესაძლოა ახალგაზრდებთან დაგეგმილი შეხვედრის დროს ნაკლებად ხმაურიანი დარბაზი სჭირდებოდეს, თუმცა მისი საჭიროება ვიზუალურად გამოხატული და შესამჩნევი არ იყოს.

### შეზღუდული შესაძლებლობის ძირითადი სახეებია:

- ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობა - მობილობის შეზღუდვა, უსინათლობა, სმენის დაქვეითება ან არ ქონა და ა.შ.
- კოგნიტური შეზღუდული შესაძლებლობა (მენტალური) - გონებრივი განვითარების შეფერხება, რაც გამოწვეული შეიძლება იყოს რიგი მიზეზების გამო. მაგალითად: ყურადღების დეფიციტის სინდრომი, აუტიზმი, დაუნის სინდრომი და სხვა.

არსებობს შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე ადამიანს რამდენიმე სახის შეზღუდული შესაძლებლობა აქვს. მაგალითად: სმენის არ მქონე და უსინათლო ადამიანი, აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ეტლით მოსარგებლე ადამიანი და სხვა.

გახსოვდეთ, რომ როგორც ორი ისეთი ადამიანი, რომელიც არ სარგებლობს ეტლით არ არის ერთმანეთის იდენტური და არ აქვთ ერთნაირი საჭიროებები, ისევე, ორი ეტლით მოსარგებლე ან სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს ვერ ექნებათ ერთნაირი საჭიროებები. ამიტომ, ნუ გააკეთებთ დასკვნებს მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ იცნობთ ერთ ეტლით მოსარგებლეს და ნუ ჩათვლით რომ მეორე ეტლით მოსარგებლე ადამიანსაც დაახლოებით იგივე საჭიროება ექნება. ეს არასწორია!

### შეზღუდული შესაძლებლობის მოდელები

შეზღუდული შესაძლებლობის მოდელები წარმოაჩენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების აღქმას და მიმდებლობას საზოგადოების მიერ. განსხვავებული მოდელები ასევე ასახავს იმ ისტორიულ კონტექსტს და უფლებრივ მდგომარეობას, რომელიც წლების განმავლობაში ჰქონდათ ან არ ჰქონდათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

#### საქველმოქმედო მოდელი

საქველმოქმედო მოდელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ანიჭებს „საწყალ“ „სამწუხარო“ როლს. იგი ხაზს უსვამს და მხარს უჭერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სხვებზე დამოკიდებულებას. საქველმოქმედო მოდელი თითქოს „სიკეთის გამოვლინებაა საბრალოთა მიმართ“ ის უფრო მეტად უწყობს ხელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა დაკარგონ უნარები და უფრო მეტად სხვებზე დამოკიდებულები გახდნენ.



ამ მოდელის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი წარმოდგენილია როგორც მამაცი და ქების ღირსი მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა. სწორედ ამიტომ, იგი წარმოადგენს შეცოდების და სიბრალულის ობიექტს. ამ მოდელის მიხედვით, საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აზრს არ ეკითხებიან და სრულყოფილ მოქალაქეებად არ აღიქვამენ. ისინი უფრო მეტად ქველმოქმედების ობიექტები არიან.

### სამედიცინო მოდელი

შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელი გამოიკვეთა მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებში. სამედიცინო მოდელი ძირითადად ვარაუდობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობები გარკვეულ დარღვევებზეა დაფუძნებული. ეს მოდელი ცდილობს დააკავშიროს ის დაავადებისა და დარღვევების ფუნქციური შედეგის მდგომარეობასა და ხანგრძლივობას. 1950-ნი წლების დასაწყისში, შეზღუდული შესაძლებლობის ზოგად განმარტებას პათოლოგიისა ან დარღვევების იდენტიფიკაცია წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ექიმების უმთავრესი მიზანი იყო შეეფასებინათ და დაედგინათ შეფერხებასთან (ან შეფერხებებთან) ასოცირებული სამედიცინო 'დეფიციტი'.

სწორედ ამიტომ, სამედიცინო მოდელი ამბობს, რომ **პრობლემა არა გარემოში, არამედ თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებშია**, რადგან ისინი ფიზიკურად უფუქნციურები არიან.

სამედიცინო მოდელი მიიჩნევს, რომ ბარიერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია და არა გარემო.

### სოციალური მოდელი

სოციალური მოდელი წარმოიშვა შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელში არსებული ხარვეზების და დისკრიმინაციის საპასუხოდ. სოციალური მოდელის მიხედვით, შეზღუდვა გამომდინარეობს საზოგადოების წყობიდან, გარემოში არსებული ბარიერებიდან და პრობლემა სწორედ ესაა და არა ადამიანის განსხვავებულობა ან ფიზიკური მდგომარეობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების აქტიური ჩართულობით საფუძველი ჩაეყარა სოციალურ მოდელს, რადგან სამედიცინო მოდელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ ამღებდა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და უფლებების რეალიზების საშუალებას.

მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, რომ სოციალური მოდელი არ უარყოფს პიროვნების განსხვავებულ მახასიათებელს ან მდგომარეობას. სოციალური მოდელი აღიარებს, რომ სწორედ პირადი მდგომარეობის გამო შესაძლოა გარემოში არსებობდეს დამოუკიდებულებითი, ინსტიტუციური და ფიზიკური ბარიერები, რომელიც მათ სრულფასოვან სოციალურ ფუნქციონირებაში ხელს უშლის.

ინკლუზია სწორედ სოციალური მოდელის ფილოსოფიას ეფუძნება

არსებული ბარიერების მაგალითებია:

დამოკიდებულებითი

ინსტიტუციური

გარემო

<ul style="list-style-type: none"><li>- გარიყვა</li><li>- სტერეოტიპები</li><li>- შიში</li><li>- ნაკლები მიმღებლობა</li><li>- ცრურწმენები</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>- განათლების ხელმისაწვდომობა</li><li>- დასაქმების სისტემა</li><li>- საარჩევნო პროცესებში მონაწილეობა</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>- საზოგადოებრივი სივრცეები</li><li>- ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა</li><li>- საზოგადოებრივი ტრანსპორტი</li></ul>
--	--	---

სამედიცინო მოდელი VS საჯველმოქმედო მოდელი VS სოციალური მოდელი

სამედიცინო მოდელი	საჯველმოქმედო მოდელი	სოციალური მოდელი
პრობლემა ინდივიდშია	პრობლემა ინდივიდშია	პრობლემა ბარიერებია, რომლებიც საზოგადოების მიერაა შექმნილი
ინდივიდი უნდა შეიცვალოს	ინდივიდს დახმარება სჭირდება, თუმცა საზოგადოება არ უნდა შეიცვალოს	ბარიერები უნდა მოიშალოს
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მსხვერპლები ხდებიან, სადაც მათ არანაირი პასუხისმგებლობა არ გააჩნიათ	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეცოდების ობიექტები არიან, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე პირებმა უნდა გადაარჩინონ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დამოკიდებულები არიან მათზე.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან. ისინი ცხოვრობენ, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები და საკუთარი ცხოვრების შესახებ გადაწყვეტილებებს თვითონვე იღებენ
გარკვეულ შეზღუდვების შესახებ ინფორმაცია გამოყენებულია ადამიანების კატეგორიზაციისთვის, რაც მათი გარიყვის საფუძველი ხდება	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსი და მათ მიერ გაჟღერებული ინფორმაცია გამოყენებულია საზოგადოებაში შეცოდების და სიბრაღის გამოსაწვევად.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხრიდან მიღებული ინფორმაცია ხელმისაწვდომობის საჭიროებების შესახებ გათვალისწინებულია ინკლუზიური გარემოს შექმნისთვის

## ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობა და მისი პრინციპები - ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობა შესაძლებელია

### რამდენიმე საკითხი ახალგაზრდული მუშაობის შესახებ

სანამ ინკლუზიურ ახალგაზრდულ მუშაობას განვიხილავდეთ, უკეთ გავიგოთ რას გულისხმობს ახალგაზრდულ მუშაობა, როგორც დისციპლინა.

ახალგაზრდული მუშაობა, არაფორმალური განათლების მეთოდების გამოყენებით, უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს, მათი ინტერესების გათვალისწინებით, მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდული მუშაკის მიერ ფასილიტირებულ პროცესში, რომელიც მათი კომპეტენციების განვითარებისკენაა მიმართული.

ახალგაზრდული მუშაობა შეიძლება წარმოვიდინოთ, როგორც მრავალფეროვანი და ინტერდისციპლინარული პრაქტიკა, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა ტიპის გარემოში, როგორც სტრუქტურირებული, ასევე, ნახევრადსტრუქტურირებული პროგრამის შესაბამისად. ახალგაზრდულ მუშაობს აქვს შესაძლებლობა განსაზღვრული საქმიანობით ხელი შეუწყოს სხვადასხვა მოწყვლადი ახალგაზრდების ჯგუფების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და უზრუნველყოფას. ახალგაზრდული მუშაობის განსხვავებული მეთოდოლოგია და მიდგომები ხელს უწყობს ახალგაზრდებს მაქსიმალურად მიაღწიონ წინასწარ დასახულ მიზნებს. (Thole, 2000). დღესდღეობით, ახალგაზრდული მუშაობა გარდაიქმნა უფრო მეტად სტრუქტურირებულ საქმიანობად, რომელიც არ არის სავალდებულო და რომელიც ახალგაზრდებს სთავაზობს წინასწარ დასახული მიზნების მიღწევას დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობის გზით. ახალგაზრდული მუშაობა უნდა ეფუძნებოდეს ისეთ ღირებულებებს, რომლითაც ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ იცხოვრონ ჯანსაღ გარემოში, მათი ჩართულობა ახალგაზრდული მუშაობის პროცესში იყოს სახალისო და მიზანზე ორიენტირებული (Dfes, 2003).

ახალგაზრდული მუშაობა შედეგიანია მაშინ, როდესაც იგი ეფუძნება შემდეგ მიდგომებს (Dfes, 2005):

- ახალგაზრდული მუშაობის განხორციელების პროცესში გათვალისწინებულია ახალგაზრდების საჭიროებები და მდგრადობა
- ახალგაზრდული მუშაობის პროგრამა ეფექტიანადაა დაგეგმილი და მოიცავს შეფასების ეფექტურ სისტემას
- ახალგაზრდული მუშაობა არ უსვამს ხაზს „დამარცხებას“ და ორიენტირებულია წაგებულსა და მოგებულს შორის დიალოგის წარმართვაზე
- ახალგაზრდული მუშაობა ცდილობს დაგეგმილი საქმიანობა მაქსიმალურად დაამყაროს უკვე არსებულ მწირ რესურსებს;

ახალგაზრდული მუშაობის სპეციფიკური მახასიათებლები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოტივაციის არსებობას ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ მუშაკში.

**ახალგაზრდული მუშაობის 7 ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია (Davies, 2005):**

- ახალგაზრდების მოხალისეობრივი მონაწილეობა
- ახალგაზრდულ მუშაობაში ჩართულ ახალგაზრდასა და ახალგაზრდულ მუშაკს<sup>2</sup> შორის მეტი ძალაუფლება ახალგაზრდისკენაა მიმართული
- ახალგაზრდული მუშაობის შედეგების მოლოდინები ობიექტურადაა გააზრებული
- ახალგაზრდულ მუშაობაში ჩართული ახალგაზრდები აღიარებული არიან, როგორც ახალგაზრდები (მათი შესაძლებლობები, განვითარების მაჩვენებელი, ასაკობრივი თავისებურებები და სხვა) და გათვალისწინებულია მოწყვლადი გარემოს როლი
- მაქსიმალურადაა ორიენტირებული ახალგაზრდას ინტერესებისა და საქმიანობის გათვალისწინებაზე ახალგაზრდული მუშაობის აქტივობების დაგეგმვის პროცესში;
- ახალგაზრდული მუშაობის პროცესში ახალგაზრდას კავშირი აქვთ თანატოლების ქსელებთან.

ახალგაზრდული მუშაობის დაგეგმვის პროცესში, მნიშვნელოვანია ახალგაზრდული მუშაკი აანალიზებდეს ახალგაზრდული მუშაობის მიდგომებს ახალგაზრდების დაინტერესების და ჩართულობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ეს მიდგომა (Smith 2002a):

- ახალგაზრდული მუშაობის აქტივობები დაგეგმილია ახალგაზრდების ასაკის გათვალისწინებით;
- ახალგაზრდას აქვს უფლება იცოდეს, რომ ახალგაზრდული მუშაობა მოხალისეობრივია და მას ნებისმიერ დროს შეუძლია პროცესის მიტოვება მისი სურვილის შემთხვევაში;
- ახალგაზრდას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს მისი როლი ახალგაზრდული მუშაობის განხორციელების პროცესში. აქტივობებში ჩართულობა და გარკვეული დავალებების შესრულება ამ პროცესის ნაწილად უნდა იყოს აღქმული;
- ახალგაზრდული მუშაობის პროცესში გამოყენებული უნდა იყოს მეგობრული და გულწრფელი მიდგომები და დამოკიდებულებები.

---

<sup>2</sup>ახალგაზრდული მუშაკი - პროფესიონალი, რომელიც ჩართულია ახალგაზრდული მუშაობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში (CoE, 1993);

## ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობა - ეს შესაძლებელია!

წინა თავში მოცემული ინფორმაცია ახალგაზრდული მუშაობის შესახებ შესაძლებლობას გვაძლევს გავიაზროთ, რომ ახალგაზრდული მუშაობა ინკლუზიურობის პრინციპს ითვალისწინებს - ის ყველასთვისაა და მისი პროგრამა მორგებულია მონაწილეების საჭიროებებს. თუმცა, ახალგაზრდული მუშაობის პრაქტიკიდან გამომდინარე, არსებობს გამოცდილება, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისთვის პროგრამა არც თუ ისე დიდ მიმღებლობას გამოხატავდა.

ახალგაზრდული მუშაობის აქტივობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების მონაწილეობას შესაძლოა რიგი ფაქტორები/ბარიერები აფერხებდეს:

- **გარემოს ზედმეტი მზრუნველობა** (მშობლები, ტრენერები, ახალგაზრდული მუშაკები და ა. შ.).
- **ჩართულობა** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეებს არ ეძლევათ საშუალება, გარკვეული საყოფაცხოვრებო საქმიანობის განხორციელებაში ჩაერთონ, რადგან მათ განსხვავებული ფიზიკური მდგომარეობა აქვთ. ყურადღება არ ექცევა იმას, რომ ამ საქმის გაკეთება მათ თავისუფლად შეუძლიათ, თუ სამუშაო გარემოს მათ საჭიროებებს მოვარგებთ ან შესაბამის დამხმარე საშუალებებს შევარჩევთ (მაგალითად: ოთახის დასუფთავება შეხვედრის შემდეგ).
- **დასწავლილი უმწეობა** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეს შეიძლება ეგონოს, რომ მას რაღაც კონკრეტული საქმის გაკეთება არ შეუძლია, რადგან ამის შანსი არასდროს ჰქონია და არც თავისნაირი სხვა ადამიანი უნახავს, ამ საქმით რომ დაკავებულიყოს.
- **სტერეოტიპები და სტიგმა:** გაცნობიერებული ან გაუცნობიერებული დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ, რომლის დროსაც მათ განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე აყენებენ.
- **ხელმიუწვდომლობის შიში** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები ყოყმანობენ, ვიდრე აქტივობებში მონაწილეობას გადაწყვეტენ, რადგანაც დარწმუნებული არ არიან, რომ ამას შეძლებენ (მაგ.: ინფორმირებული არ არიან აქტივობის ადგილის, ტრანსპორტირების შესახებ და ა. შ.).
- **ხელშემწყობი ტექნოლოგიების უქონლობა** - ხშირად ასეთი მოწყობილობები ძალიან ძვირი ღირს ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს მათ შესახებ ინფორმაცია არ აქვს, ან საქართველოში მათი ყიდვა შეუძლებელია, რის გამოც ადამიანები თავს არიდებენ მათ შეძენას. მცირე იმპროვიზაციით, ყოველთვის შეიძლება დამხმარე კონსტრუქციის შექმნა ან თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილესთან კონსულტაცია.

- **ცუდად ადაპტირებული ან არა ადაპტირებული აქტივობები** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეებისთვის აქტივობების ადაპტაციისთვის, ხანდახან მცირე შემოქმედებითობაც საკმარისია, თუმცა ცუდად ადაპტირებული, ხშირ შემთხვევაში კი არაადაპტირებული, აქტივობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეების ახალგაზრდული მუშაობის აქტივობებიდან გამოთიშვის მიზეზიც კი შეიძლება გახდეს.
- **ახალგაზრდული მუშაკების მხრიდან განსხვავებულობის მიმართ დაბალი მიმდებლობა** - ხშირად, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეები ცდილობენ, ორგანიზატორებს თავიანთი საჭიროებები აუხსნან, ახალგაზრდული მუშაკების მხრიდან გულგრილ დამოკიდებულებას ან ერთგვარ შიშს აწყდებიან. შესაბამისად, ახალგაზრდული მუშაკები უარს ამბობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეებს აქტივობებში მონაწილეობა შესთავაზონ.
- **მშობლების მხრიდან წინააღმდეგობა** - მშობლებს სჭირდებათ დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათი შვილები უსაფრთხო და ხელმისაწვდომ გარემოში გაატარებენ დრო. ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ხშირად მშობლები ხელს უშლიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს მონაწილეობა მიიღონ მათთვის უცნობ ან ახალ აქტივობებში.

### ნias მაგალითი

ნია 18 წლის ახალგაზრდაა. ის დაბადებიდან უსინათლოა. მას ყოველთვის აინტერესებდა გარემოსდაცვით აქტივობებში ჩართვა. ერთხელ, სოციალური მედიის საშუალებით, შეიტყო რომ მის სოფელში ახალგაზრდები ხეების დარგვის აქციას აწყობდნენ. მან ორგანიზატორს მისწერა და სურვილი გამოთქვა აქტივობაში მონაწილეობა მიეღო. ორგანიზატორი სიამოვნებით დაეთანხმა. ნიამ ორგანიზატორს შეატყობინა, რომ ის უსინათლო იყო და ორგანიზატორების მხარდაჭერა დასჭირდებოდა. ნიამ ნახა, რომ ორგანიზატორმა შეტყობინება მიიღო თუმცა პასუხი მისგან არ მიუღია....

## ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობისაკენ

რა უნდა გააკეთოს ახალგაზრდულმა მუშაკმა იმისათვის, რომ ახალგაზრდული მუშაობა ინკლუზიური გახადოს?

პირველ, რიგში ახალგაზრდულ მუშაკმა უნდა გაიაზროს და გაითავისოს რას გულისხმობს ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობა.

ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობა საშუალებას აძლევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არ მქონე ახალგაზრდებს მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდული მუშაობის აქტივობებში თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით.

ხელი შეუწყო შენი ახალგაზრდული სამუშაო ინკლუზიური იყოს, განსხვავდება ინტეგრაციისგან. ინტეგრაციას ადგილი აქვს, როდესაც შენ, როგორც ახალგაზრდული მუშაკი მზად ხარ შენს ჯგუფში მიიღო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები საჭირო ადაპტირების გარეშე. ამ დროს დიდია რისკი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებმა თავი მეორეხარისხოვნად იგრძნონ ან შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე ახალგაზრდებმა დომინირება გაუკეთონ ჯგუფის სხვა წევრებს და არ მისცენ მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა, ჯგუფურ დისკუსიებში თანაბარი აზრის გამოხატვის საშუალება და სხვა.

იყო ინკლუზიური ახალგაზრდული სამუშაოს განმახორციელებელი შესაძლოა ძალიან რთულად მოგეჩვენოს. თუმცა ეს არც ისე რთულია! ინკლუზიურობისკენ გადადგმული ნაბიჯები შენი დამოკიდებულებების, პროგრამის ადაპტირების მცდელობის და ინდივიდუალური საჭიროებების გაანალიზებით იწყება.

**ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობა სახალისო, საინტერესო პროცესი და მრავალფეროვნების ზეიმიია. ეს არის პროცესი, როდესაც პრაქტიკაში ვხედავთ ინდივიდების თანამშრომლობას, მეგობრობასა და სტერეოტიპების მსხვრევის პროცესს.**

### რატომ ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობა?

ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობა გამოწვევას უკეთებს ნეგატიურ აღქმებსა და სტერეოტიპებს. შესაბამისად, ის საფუძველს ქმნის ახალგაზრდებმა გაიზრონ თანასწორი და მრავალფეროვანი საზოგადოების პრინციპები მცირე ასაკიდანვე. ინკლუზიური მიდგომა აძლიერებს ახალგაზრდული ჯგუფების შედეგებს, რადგან ის ხელს უწყობს ჯგუფის წევრების გამოცდილების მრავალფეროვნებას და შესაძლებლობებს აძლევს იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ხშირად გარიყულები არიან. ინკლუზიური მიდგომა სასარგებლოა როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ასევე, არ მქონე ახალგაზრდებთვის, რადგან ის საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ და დავაფასოთ მრავალფეროვნება ჯგუფში და საზოგადოებაში, გავაძლიეროთ ინდივიდუალურობის შეგრძნება და რა თქმა უნდა, გავძლიერდეთ, როგორც ჯგუფი საკუთარი მიზნების მისაღწევად.



## როგორ შევასოთ არის თუ არა ჩვენი საქმიანობა ინკლუზიური?

წარმოგიდგინთ ინდიკატორებს, რომლებიც დაგეხმარებათ შევასოთ არის თუ არა თქვენი საქმიანობა ახალგაზრდებთან ინკლუზიური.

- **წარმომადგენლობა** – ყველა იმ ადგილზე ყოფნა/დასწრება, სადაც არიან შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირები, სესიის ოთახის, სადამოს შეკრებების, წვეულებებისა და სხვა ღონისძიებების ჩათვლით.
- **არჩევანი** – მრავალმხრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, სასურველი აქტივობების არჩევა და მათში ჩართვა. თქვენ უნდა შეგეძლოთ აქტივობები მონაწილეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მოარგოთ. ინდივიდუალური საჭიროებები შეიძლება იყოს დაწყებული შეხვედრაზე უფრო გრძელი შესვენებით დამთავრებული ფლიფ-ჩარტის ქაღალდების უფრო დაბალ საფეხურზე გაკვრით, რათა მათი წაკითხვა ყველა მონაწილეს შეეძლოს.
- **პატივისცემა და ღირებული როლები** - პიროვნებად აღქმა/დანახვა/ჩათვლა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ღირებულ პიროვნებად აღქმა და არა როგორც ნორმიდან გადახრად ან „გაუგებრობად“ მიჩნევა.
- **მონაწილეობა** – სხვა ადამიანებთან ურთიერთკავშირი, მრავალფეროვანი ურთიერთობები, ერთმანეთის გაცნობა, ღონისძიებაში მონაწილეობა და არა მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსში ყოფნა.
- **კუთვნილება** – ძლიერი გრძნობა, რომ ადამიანს სხვები აფასებენ და შესაბამისი სოციალური ჯგუფისადმი მიკუთვნილობის განცდა.

## სამართლებრივი და პოლიტიკის, დოკუმენტები, რომლებიც მხარს უჭერენ და იზიარებენ ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობის პრინციპებს:

- საქართველოს მთავრობამ გადადგა ნაბიჯები შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელის პრაქტიკაში დანერგვისათვის. 2014 წელს საქართველოს მიერ რატიფიცირებული **გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ** მხარს უჭერს ინკლუზიურ მუშაობას ჯგუფებთან, კერძოდ **მუხლი 7**, მიუთითებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებს იგივე უფლებები და თავისუფლებები აქვთ, როგორც სხვა ბავშვებს და ახალგაზრდას.
- მუხლი 30: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ კულტურულ ცხოვრებაში, რეკრეაციასა, გასართობ და სპორტულ აქტივობებში.
- **გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია:**  
**მუხლი 23 (1):** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს და ახალგაზრდებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის უფლება აქვთ.

**მუხლი 31:** აღწერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და ახალგაზრდების რეკრეაციულ აქტივობებში მონაწილეობის უფლებას.

### **შემთხვევის აღწერა - ევსონის და ეველის ახალგაზრდული კლუბი**

ევსონის და ეველის ახალგაზრდული კლუბის 1978 წელს დაარსდა ბრიტანეთში, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არ მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის შეექმნა შესაძლებლობა ღია სივრცეში ერთად ეთამაშად და ეხალისათ.

39 წლის შემდეგ კლუბის მიზანი არ შეცვლილა. კლუბი 8-დან 18 წლამდე ასაკის დაახლოებით 120 წევრს აერთიანებს. ყოველ პარასკევს 70 დან 80-ამდე ახალგაზრდა (რომელთა 30% შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა) იკრიბება კლუბის შეხვედრაზე. გასვლითი ვიზიტები, ღონისძიებები და დღესასწაულები აღინიშნება, როგორც დამატებითი აქტივობები. კლუბის წევრი ახალგაზრდები და ბავშვები ამბობენ, რომ ისინი კლუბის შეხვედრებს ესწრებიან, იმიტომ, რომ ყოველთვის პოულობენ მათთვის სახალისო საქმეებს.

ინკლუზია ყველაფრის ძირითადი ღირებულებაა, რაც კლუბში ხდება. ყველა ბავშვი და ახალგაზრდა მონაწილეობას იღებს ყველა აქტივობაში და ისინი თავად გეგმავენ აქტივობებს, რომელიც მათ ინტერესებს შეესაბამება. დაგეგმვა პარასკევს შეხვედრის ნაწილია და უფროსების როლი მხოლოდ ისაა, რომ ახალგაზრდებს მოუსმინონ და მხარი დაუჭირონ მათ საკუთარი ინტერესების რეალიზებაში.

მაგალითად, კლუბმა დადგა სრულმეტრაჟიანი მიუზიკლი, რომელშიც 62 ახალგაზრდამ და ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. მიუზიკლი დაფინანსდა ახალგაზრდული შესაძლებლობების ფონდის მიერ.

ერთ-ერთი მონაწილე ამბობს „ინკლუზია ეს არის ვაკეთებდეთ ყველაფერს, როგორც თანასწორები და შემდეგ ჩვენი სულისკვეთება კლუბის გარეთაც გაგვქონდეს“.

კლუბის ახალგაზრდული მუშაკები ხაზს უსვავენ მოქნილობის მნიშვნელობას, სურვილი აქვთ გამოსცადონ სიახლეები და მზად იყვნენ ცვლილებისთვის. კლუბი მუშაობს შემდეგი პრინციპით, რომ ყველაფერი ადაპტირებადია და მისი წესებიც კი ნებას რთვას ორგანიზატორებს შეცვალონ აქტივობები და თამაშები ისე, რომ ყველას შეეძლოს მონაწილეობის მიღება.

კლუბის ახალგაზრდული მუშაკების და ახალგაზრდების მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად, გთავაზობთ რჩევებს, რომლებსაც ისინი თქვენ გიზიარებენ, იმისათვის რომ ხელი შეუწყოთ თქვენი ჯგუფების ინკლუზიურობას:

- იფიქრე, რისი გაკეთება გინდათ მთელ ჯგუფს. არ დაიწყო ნეგატიური ფიქრი „ეჰ, ჯგუფში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა გყავს. რისი გაკეთება შეუძლია ნეტავ?“
- გაეცანი აქტივობას და შემდეგ დაფიქრდი, როგორ შეიძლება შეცვალო ის, რომ ყველამ შეძლოს მონაწილეობა.
- გაიცანი და მოუსმინე შენი ჯგუფის წევრებს (და მათ მშობლებს).

- იმუშავეთ ერთობლივად იდეების განვითარების პროცესში, შეეცადე შენი აქტივობები ახალგაზრდების ინტერესებს და მოთხოვნებს შეუსაბამო.
- იყავი პოზიტიური, იფიქრე „მე ამას შევძლებ, ეს იმუშავებს“ განწყობით და დაეხმარე ახალგაზრდებს გაფანტონ სტერეოტიპები და დარწმუნდნენ, რომ მათ უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ, ვიდრე ფიქრობენ (ხშირად მშობლები ნეგატიურ როლს ასრულებენ ახალგაზრდების შესაძლებლობების შესახებ ლიმიტების შექმნით).
- ახალგაზრდები ინკლუზიური მუშაობის შედეგს იმაზე უფრო სწრაფად დაინახავენ და დაგანახებენ ვიდრე შენ წარმოგიდგენია.

**ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობის პროცესი 10 ნაბიჯად (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება)**

თუ უკვე გადაწყვიტეთ თქვენი ახალგაზრდული მუშაობა ინკლუზიური გახადოთ თქვენ შემდეგი ნაბიჯების გადადგმა მოგიწევთ. შესაძლოა უკვე მუშაობთ ახალგაზრდების და ბავშვების ჯგუფთან და გსურთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების იმავე ჯგუფში მონაწილეობის საშუალება მისცეთ. ან შესაძლოა ახლა იწყებთ ახალგაზრდების ჯგუფის შექმნას და დასაწყისშივე სურვილი გაქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არ მქონე ახალგაზრდების ერთ სივრცეში სამუშაოდ მოიწვიოთ. ნამდვილი ინკლუზიის მიღწევას ახალგაზრდების მონაწილეობის დამაბრკოლებელი ბარიერების მოშლით შეძლებთ. ამ პროცესში შემდეგი ნაბიჯების გადადგმა დაგეხმარებათ:

**ნაბიჯი 1**

**მოთმინება და დამოკიდებულება**

ინკლუზიური ჯგუფის ჩამოყალიბება და შენარჩუნება მოთმინებას საჭიროებს. შენ, რა თქმა უნდა, არ შეგიძლია ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტო, რომ შენი ახალგაზრდების ჯგუფი ინკლუზიურია ან დაელოდო როდის გახდება შენი ჯგუფი ინკლუზიური. ინკლუზიურად ჩამოყალიბების პროცესი დროს მოითხოვს და დაკავშირებულია სხვადასხვა რესურსებთან. ის რაც 10 წლის ახალგაზრდას სჭირდება პროგრამაში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის, შესაძლოა 1 წლის შემდეგ, უკვე 11 წლის იგივე ახალგაზრდისთვის საჭიროებები განსხვავებული იყოს. ჯგუფის განვითარებასთან ერთად, შესაძლოა სულ უფრო ცოტა რამის ადაპტაცია/შეცვლა გახდეს საჭირო ინკლუზიური მიდგომის შესანარჩუნებლად. მნიშვნელოვანია გახსოვდეს, რომ ერთ-ერთი საუკეთესო რესურსი, რაც ინკლუზიურობის შესანარჩუნებლად გაქვს ეს დამოკიდებულებაა! იმაზე ფიქრი, თუ როგორ შეიძლება ხელი შევეწყვიოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ჯგუფში ჩართულობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების მისაღებად ძალიან კარგი დასწყისია!

## ნაბიჯი 2

### ფინანსები

ფინანსების ნაკლებობა ინკლუზიური ჯგუფის შექმნის საწინააღმდეგო ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტია. თუმცა, ძირითადი ბარიერები, რომლებიც ინკლუზიური ჯგუფების შექმნას უშლის ხელს ორგანიზაციული და დამოკიდებულებითია, რის მოშლასაც ფინანსები არ სჭირდება. იქიდან გამომდინარე, რამდენად ახალბედა ხართ ინკლუზიურ ჯგუფებთან მუშაობაში, შესაძლოა განსხვავებული რესურსები დაგჭირდეთ. მაგალითად, თუ პროგრამაში ეტლით მოსარგებლე მონაწილე ერთვება და შეხვედრების ოთახი არ არის პანდუსით უზრუნველყოფილი, შესაძლოა პანდუსის დამონტაჟება დაგჭირდეთ. თუ თქვენს ორგანიზაციას აქვს რესურსები იმისთვის, რომ წინასწარ დაგეგმოს ახალგაზრდულ მუშაობასთან დაკავშირებული ხარჯები, მაშინ მნიშვნელოვანია მსგავსი საკითხები დაგეგმვის პროცესშივე გაითვალისწინოთ. თუმცა თუ ფინანსური რესურსი ძალიან მწირი გაქვთ ყოველთვის შესაძლებელია გამოსავლის პოვნა თავად იმ ეტლით მოსარგებლე ახალგაზრდასთან ერთად, რომელიც პროგრამაში მონაწილეობას აპირებს.

## ნაბიჯი 3

### დრო

ინკლუზიას დრო სჭირდება. იმისათვის, რომ ინკლუზიური მიდგომის მდგრადობას მიაღწიოთ თქვენი სამუშაოს თითოეულ დეტალზე უფრო მეტი დროის დათმობა მოგიწევთ. მოსალოდნელია, რომ დამატებითი დრო დაგჭირდებათ დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, რადგან აქტივობების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება და ადაპტირება დაფიქრებას, ანალიზსა და შესაბამისი პრაქტიკის დანერგვას მოითხოვს. სწორედ ამ პროცესში თავად ბავშვების და ახალგაზრდების ჩართვა კარგ პრაქტიკადაა მიჩნეული. ეს მიდგომა თანასწორად უნდა აძლევდეს საშუალებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე ახალგაზრდებს მონაწილეობა მიიღონ დაგეგმვის პროცესში. მაგალითად, ხელმისაწვდომი შეხვედრის ოთახის მოწყობა და ა.შ.

#### ნაბიჯი 4

##### მხარდაჭერა

მხარდაჭერის როლი მნიშვნელოვანია ინკლუზიურ ჯგუფში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით. გახსოვდეთ, იმის ცოდნა, რომ რომელიმე ახალგაზრდულ მუშაკს უკვე უმუშავია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებთან არ ნიშნავს იმას, რომ ის იაზრებს ინკლუზიურ მიდგომებს. მხარდაჭერა შესაძლოა გამოიხატებოდეს როლური აქტივობის დროს მონაწილის გადაადგილებაში ასისტირებით, ან სმენის არ მქონე მონაწილისათვის ჟესტური ენის თარჯიმნის მოწვევით. შესაბამისად, დაგეგმვის პროცესი მნიშვნელოვანია ორგანიზატორთა მხრიდან განისაზღვროს ეს თუ ეს საჭიროებები, რომელიც მონაწილეთა სრულყოფილი ჩართულობისთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

#### ნაბიჯი 5

##### გადამზადება

გადამზადება ინკლუზიური ჯგუფის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი კომპონენტია. გადამზადების მეშვეობით ჩვენ შესაძლებლობას ვაძლევთ ახალგაზრდულ მუშაკებსა და დამხმარე თანამშრომლებს ერთნაირად ესმოდეთ ინკლუზიური პრინციპები. გადამზადებული ორგანიზატორები კი ყოველთვის მაგალითს აძლევენ ახალგაზრდებს. მათ შესაძლებლობა ეძლევათ პრაქტიკაში დაინახონ ინკლუზია. გადამზადება ასევე შესაძლოა საჭირო იყოს თავად ახალგაზრდების ჯგუფისთვის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არ მქონე), რათა წახალისდეს ინკლუზიური სულისკვეთება და ახალგაზრდებს სტერეოტიპებისგან თავისუფალი აზროვნების საშუალება მიეცეთ.

#### ნაბიჯი 6

##### ახალგაზრდების დაინტერესება

შეზღუდული შესაძლებლობის ახალგაზრდები ხშირად სტერეოტიპების გამო თავს იკავებენ მათთვის უცხო აქტივობებში მონაწილეობისაგან. თქვენი, როგორც ახალგაზრდული მუშაკის ფუნქციაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს აჩვენოთ მათი აქტივობაში ჩართვის შედეგად მოსალოდნელი შედეგი. ასევე მოიპოვოთ მათი ნდობა და დაუმტკიცოთ, რომ მონაწილეობის პროცესი მათთვის ბარიერებისგან თავისუფალი და ინკლუზიური იქნება. ახალგაზრდების დაინტერესება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობის განსახორციელებლად.

## ნაბიჯი 7

### მშობლებთან და მზრუნველებთან ურთიერთობა

მშობლები და მზრუნველები შესაძლოა ექვის თვალით უყურებდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ახალგაზრდული მუშაობის აქტივობებში ჩართულობას. ამიტომ მნიშვნელოვანია მათთან მჭიდრო ურთიერთობა და კომუნიკაცია. შეეცადეთ დაგეგმოთ საინფორმაციო შეხვედრები და აჩვენოთ მათ თქვენი სამუშაოს მიზნები. მშობლების და მზრუნველების ნდობის მოპოვება ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს უფრო გაბედულად გადაწყვიტონ თქვენს მიერ შეთავაზებულ პროგრამაში მონაწილეობა.

## ნაბიჯი 8

### თანამშრომლობა

თქვენ, როგორც ახალგაზრდულ მუშაკს შესაძლოა არ გქონდეთ საჭირო უნარები და ცოდნა ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობის დასაგეგმად და განსახორციელებლად, მაგრამ გქონდეთ სურვილი და შესაბამისი დამოკიდებულება. ამიტომ, ეცადეთ მონახოთ ინკლუზიურ პროგრამებში გამოცდილი პარტნიორები და სთხოვოთ მათ თავიანთი გამოცდილება გაგიზიარონ, დაგეხმარონ პირველი ნაბიჯების გადადგმაში და მოგცენ საჭირო რჩევები. თანამშრომლობა ეფექტური გზაა ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობის საწყისი ეტაპის ეფექტურად განსახორციელებლად.

## ნაბიჯი 9

### კარგი პრაქტიკის გაზიარება

მას შემდეგ რაც უკვე აქტიურად დაიწყეთ ინკლუზიურ ჯგუფებთან მუშაობა, დროა თქვენს მიერ განხორციელებული ინიციატივის შედეგებზე სხვასაც მოუყვეთ. ხშირად კოლეგების მიერ გაზიარებული წარმატებული პრაქტიკა შთაგონების წყაროა სხვებისთვის, რათა მათაც დაიწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნა. იაქტიურეთ სოციალური მედიის მეშვეობით, მოაწყვეთ პროფესიული გაზიარების შეხვედრები, რათა თქვენი საქმიანობის შესახებ, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს.

## ნაბიჯი 10

### მდგრადობა

მდგრადობა გულისხმობს თქვენს მიერ ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობის პრაქტიკის შენარჩუნებას. სავარაუდოდ, თქვენ ყოველთვის ახალგაზრდული მუშაობით არ იქნებით დაკავებული. ამიტომ, მნიშვნელოვანია ადამიანს, რომელიც თქვენს საქმიანობას გააგრძლებს ჰქონდეს შესაძლებლობა შეინარჩუნოს ჯგუფის ინკლუზიურობა. ამიტომ საქმიანობის დასაწყისშივე იფიქრეთ როგორ შეიძლება გახადოთ თქვენი საქმიანობა მდგრადი. რა რესურსები შეიძლება დაუტოვოთ თქვენი საქმიანობის გამგრძელებელს და როგორ ასახოთ ინკლუზიური მიდგომები თქვენი ორგანიზაციის კულტურაში.

### ტერმინები სწორი და არასწორი ტერმინების მიმოხილვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებთან კომუნიკაციის პროცესში

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისას სწორი ტერმინების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს. წლების განმავლობაში, შეზღუდული შესაძლებლობის მოდელების შეცვლასთან ერთად, იცვლებოდა ტერმინებიც. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სწორად მიიჩნევენ ტერმინებს, რომლებიც სოციალური მოდელიდან მომდინარეობს და თავისი მნიშვნელობით მიუთითებს გარემოში არსებულ ბარიერებზე და არა თავად პიროვნების შეზღუდულ უნარებზე.

უნდა დავუშვათ ისიც, რომ ახალგაზრდულმა მუშაკებმა თავიანთი პრაქტიკის დასაწყისში შესაძლოა არ იცოდნენ, რომელი ტერმინების გამოყენებაა მისაღები მათ პროგრამაში მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისთვის. არ მოგერიდოთ შეკითხვა დაუსვათ თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს და გაიგოთ თუ როგორ სურს რომ მიმართოთ.

### ხუმრობა ჯონიზე

ერთხელ ჯონის, რომელიც ეტლით მოსარგებლეა ჰკითხეს როგორ გირჩევნია მოგმართოთ, როგორც ეტლით მოსარგებლე, ეტლით მოსიარულე, ეტლს მიჯაჭვული თუ? ჯონიმ უპასუხა: მირჩევნია, უბრალოდ ჯონი დამიძახოთ. ☺

ეს ხუმრობა გვაჩვენებს რომ საერთო ჯამში ადამიანი, ინდივიდია მნიშვნელოვანი. ტერმინები, რომლითაც შეზღუდული შესაძლებლობის სახეს აღწერთ გვეხმარება ხაზი გავუსვათ სოციალური მოდელის პრინციპებსა და ძირითად ღირებულებებს.

გთავაზობთ ლექსიკონის სამუშაო ვერსიას, რომელიც დაგეხმარებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ სოციალური მოდელის პრინციპების დაცვით ისაუბროთ.

### სწორი და არასწორი ტერმინები

გამოიყენე	არ გამოიყენო
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი	უნარშეზღუდული, ინვალიდი
აქვს კოგნიტური/ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობა	გონებაჩამორჩენელია
ეტლით მოსარგებლე პირი	ხეიბარი, ეტლს მიჯაჭვული
სმენის არ მქონე	ყრუ
სმენადაქვეითებული	სმენანაკლული
უსინათლო	ბრმა
დაუნის სინდრომის მქონე, აუტისტური სპექტრის მქონე	დაუნის სინდრომით დაავადებული, დაუნი, აუტიზმით დაავადებული
შეზღუდული შესაძლებლობით დაზარდებული ადამიანი	თანდაყოლილი ნაკლი
ბავშვი, მოსწავლე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი	ინკლუზიური ბავშვი, მოსაწავლე



დაიმახსოვრეთ, ყოველთვის სჯობს ჰკითხოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს, როგორ ურჩევნია რომ მიმართონ. შეკითხვის დასმა ყოველთვის საუკეთესო არჩევანია.

## როგორ დავაინტერესოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები?

ხშირად ახალგაზრდული მუშაკები კითხვაზე - თუ რატომ არ არიან იმ ახალგაზრდებს შორის, რომელთანაც ისინი მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები, პასუხობენ, რომ:

- მათი მცდელობის მიუხედავად, არც ერთმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდამ სურვილი არ გამოხატა.
- მათ ქალაქში, სოფელში არ არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები.
- მათ ეშინიათ ან/და მზად არ არიან გარისკონ, ა.შ.

დაიმახსოვრეთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები ჯერ კიდევ სეგრეგაციის და გარისკვის მსხვერპლები არიან. საზოგადოებაში არსებული სტიგმა და ბარიერები მათ აიძულებთ თავისუფალი დრო გაატარონ სახლში ან დღის ცენტრში<sup>3</sup>. არის შემთხვევებიც, როდესაც მშობლებს რცხვენიათ საზოგადოებასთან გამოაჩინონ ინფორმაცია მათი შვილების შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ. ამიტომ, თუ ერთხელ მცდელობის მიუხედავად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები არ გამოგეხმარნენ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ არ აქვთ სურვილი თქვენს პროგრამაში მიიღონ მონაწილეობა.

თქვენ, როგორც ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობის განმახორციელებელს უნდა შეგეძლოს გამოიყენოთ სხვადასხვა მიდგომა იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებმა თქვენს პროგრამაში ჩართვა მოინდომონ.

რამდენიმე საკითხი, რაც მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის ახალგაზრდების ნდობის მოსაპოვებლად:

- უსაფრთხო გარემო, რომელიც დისკრიმინაციისგან და სხვა ბარიერებისგან თავისუფალია.
- ინდივიდის დაფასება და თანადაგანცდა.
- იმის ჩვენება თუ რას მიიღებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა თუ თქვენს პროგრამაში ჩაერთვება.

---

<sup>3</sup>მომსახურეობა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს სთავაზობს დღის განმავლობაში მიიღოს უფასო კვება, საგანმანათლებლო მხარდაჭერა და საჭირო თერაპია;

თქვენ მიერ ორგანიზებულ აქტივობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ჩასართავად რამდენიმე გზა შეგიძლიათ გამოიყენოთ:

- თუ მონაწილეებს ღია კონკურსის საფუძველზე არჩევთ, საკონკურსო განაცხადს თან დაურთეთ რამდენიმე წინადადება, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეებისთვის ინკლუზიური, ხელმისაწვდომი პირობების შესაქმნელად თქვენსა და თქვენი ორგანიზაციის მზაობას დააფიქსირებთ. შესაძლოა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებმა განაცხადის გამოგზავნისგან თავი შეიკავონ, რადგან მათ არ იციან აქტივობის გარემო მათთვის ხელმისაწვდომი იქნება თუ არა.
- შეეცადეთ კონკურსის/მონაწილეთა შესარჩევი პერიოდის განმავლობაში დაუკავშირდეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებს და იმ სტრუქტურებს, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობისა და თანამშრომლობის გამოცდილება აქვთ. მათ თქვენს მიერ გამოცხადებული კონკურსის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეთ და სთხოვეთ, სამიზნე ჯგუფში გავრცელებაში დაგეხმარონ.
- თუ დრო შეზღუდული არ გაქვთ, მოაწყვეთ საინფორმაციო შეხვედრა, სადაც დაინტერესებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს კონკურსის პირობებს და აქტივობის მიზნებს პირადად გააცნობთ. ხშირად პოტენციურ მონაწილეებთან უშუალო კომუნიკაცია მათი მოტივირებისა და დაინტერესებისთვის ყველაზე ეფექტიანი გზაა. საინფორმაციო შეხვედრაში დახმარება შეუძლიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებს, სკოლებსა და სხვა სტრუქტურებს.
- შესაძლოა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების დამოუკიდებლობის დონე არც ისე მაღალი იყოს. ზოგჯერ მათ გადაწყვეტილებებზე შეიძლება მშობლებმა და ოჯახის წევრებმა იქონიონ გავლენა. ამგვარი ფაქტის არსებობის შემთხვევაში, შეეცადეთ საინფორმაციო შეხვედრაზე მათი მშობლებიც და ოჯახის წევრებიც მოიწვიოთ ან პირადად აუხსნათ მათ თუ რატომ იქნება მათი შვილებისთვის თქვენს მიერ ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეობა სასარგებლო და დადებითი შედეგის მქონე.
- იმედს ნუ გადაიწურავთ, თუკი პირველ ჯერზე არც ისე ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა გადაწყვეტს თქვენს აქტივობაში მონაწილეობის მიღებას. დაიმახსოვრეთ, მთავარი რაოდენობა არ არის. მთავარია, შესაძლებლობა მისცეთ მათ, ვისაც აქტივობაში მონაწილეობის სურვილი აქვს. როგორც წესი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების თემში წარმატებული პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება. თუ ერთ-ერთი მონაწილე თქვენ მიერ ორგანიზებული აქტივობის ხელმისაწვდომობით კმაყოფილი დარჩა, მომავალში თქვენს პროექტში ბევრად მეტი დაინტერესებული გეყოლებათ.
- აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ მონაწილეთა შერჩევისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აპლიკანტს უპირატესობა არ მიანიჭოთ მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის გამო. შეაფასეთ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, ისე როგორც შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე კანდიდატს შეაფასებდით.

- ინფორმაციის გასავრცელებლად ასევე გამოცდილი პრაქტიკაა სოციალურ მედიაში არსებული ჯგუფების გამოყენება. მაგალითად, არსებობს ჯგუფი - ეტლით მოსარგებლე ადამიანები საქართველოში, UNCRPD კონვენცია და ა.შ. შეგიძლიათ ინფორმაცია ამ ჯგუფებშიც გაავრცელოთ.

## ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობის დაგეგმვა, პროგრამის საჭიროებებზე მორგება (ადაპტირება) - ადაპტირების მნიშვნელობა დამახასიათებლები

### რატომ გვჭირდება მეთოდების ადაპტირება

თქვენ შესაძლოა ამა თუ იმ სახელმძღვანელოში, ინტერნეტით ან თქვენს ორგანიზაციაში სხვადასხვა საინტერესო მეთოდს გაეცნოთ და გადაწყვიტოთ მათი გამოყენება თქვენს მიერ ორგანიზებულ აქტივობაში. მაგრამ ნუთუ არაფორმალური განათლების აქტივობის დროს ნებისმიერი მეთოდის გამოყენებაა შესაძლებელი იმ ფორმით როგორც ის აღწერილია?

თქვენ, როგორც აქტივობის ორგანიზატორებს, მეთოდების შერჩევის პროცესში აუცილებლად უნდა გახსოვდეთ, რომ მონაწილეთა თითოეული ჯგუფი, რომელთანაც მუშაობა გიწევთ, უნიკალური და ერთამენეთისგან განსხვავებულია. ამ სხვაობას ჯგუფის შემადგენლობა, თავად მონაწილეთა ინდივიდუალურობა და ხელმისაწვდომობის საჭიროებები ქმნის. შესაბამისად, თქვენი ფუნქციაა, მეთოდების შერჩევისას იფიქროთ, თუ როგორ შეგიძლიათ მიუსადაგოთ, ესა თუ ის უკვე აპრობირებული და წარმატებული მეთოდი თქვენი ახალგაზრდების საჭიროებებსა და ხელმისაწვდომის მოთხოვნებს.

### ახალგაზრდული მუშაობის აქტივობაში მონაწილე თითოეული ჯგუფისთვის საჭიროა მეთოდების ადაპტაცია და მათ საჭიროებებზე მორგება.

მნიშვნელოვანია მეთოდების ადაპტირების პროცესში გაითვალისწინოთ მეთოდების ადაპტაცია არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეებისათვის, არამედ მთლიანი ჯგუფისთვის, რომელშიც თითოეულ წევრს შერჩეული მეთოდების გამოყენებით ორგანიზებულ აქტივობებში სრულფასოვანი ჩართვა შეეძლება.

გთავაზობთ, რამდენიმე რჩევას, რომელიც უნდა გაითვალისწინოთ ახალგაზრდული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ადაპტირების პროცესში:

- აქტივობის დაწყებამდე, რამდენიმე დღით ადრე, ჰკითხეთ მონაწილეებს მათი ხელმისაწვდომობის საჭიროებების შესახებ - რა სჭირდებათ მათ იმისათვის, რომ შეძლონ პროგრამის მიმდინარეობაში სრულფასოვანი მონაწილეობა? აუცილებლად დაუსვით ეს კითხვა ყველა მონაწილეს და არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეებს. დაიმახსოვრეთ ხელმისაწვდომობის საჭიროებები ყველა ჩვენგანს აქვს (ეს შეიძლება იყოს ყავა შესვენებაზე, ოთახი საიდანაც სინათლე შემოდის, ბრაილის შიფტით დაბეჭდილი მასალა, დაბალ დონეზე დაკიდებული პოსტერები და ა.შ.). იმისათვის, რომ მიიღოთ ინფორმაცია მონაწილეთა ხელმისაწვდომობის საჭიროებების შესახებ

შეგიძლიათ მათ სთხოვოთ შეავსონ სპეციალური კითხვარი<sup>4</sup>, რომელიც აქტივობის უკეთესად ადაპტირებაში დაგეხმარებათ.

- არ შეარჩიოთ აქტივობა იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო ადვილად ადაპტირებადი. პირველ რიგში, შეარჩიეთ აქტივობა იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო დაგეხმარებათ საგანმანათლებლო მიზნის მიღწევაში და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდექით აქტივობის ადაპტირებაზე მუშაობას.
- მეთოდების შერჩევის პროცესში გააანალიზეთ **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე** მონაწილეების მიერ დაფიქსირებული ხელმისაწვდომობის საჭიროებები ან შევსებული/გაზიარებული ინდივიდუალური საჭიროებების კითხვარი, დარწმუნდით, რომ მასში მოცემული ინფორმაცია თქვენ მიერ არჩეულ მეთოდს შეესაბამება.
- ნუ დაიძაბებით იმის გამო, რომ გარკვეული მეთოდის გარკვეულ ჯგუფზე ადაპტირებას ვერ ახერხებთ. შეეცადეთ, კოლეგებისგან კონსულტაცია მიიღოთ. უკიდურეს შემთხვევაში, შერჩეული მეთოდის ალტერნატიული ვარიანტით ჩანაცვლებაზე იფიქრეთ.
- თუ ეჭვი გეპარებათ, რამდენად ხელმისაწვდომი იქნება თქვენ მიერ შერჩეული მეთოდი **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე** მონაწილეებისთვის, აუცილებლად ჰკითხეთ მათ. ისინი საკუთარი საჭიროებების ექსპერტები არიან!
- გახსოვდეთ: **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე** მონაწილის ორ სხვადასხვა ჯგუფში ჩართულობა არ ნიშნავს, რომ ერთი ჯგუფისთვის ადაპტირებული მეთოდი მეორე ჯგუფთანაც აუცილებლად გამოდგებათ. მეთოდების ადაპტაციის პროცესში აუცილებლად გაითვალისწინეთ მონაწილეთა რაოდენობა და მათი ინდივიდუალური საჭიროებები.

მაშ ასე, მეთოდების შერჩევისა და ადაპტირების პროცესი ახალგაზრდული მუშაობის განხორციელების პროცესის წინმსწრები მნიშვნელოვანი ეტაპია. სწორად შერჩეული მეთოდები და დაგეგმილი პროგრამა ახალგაზრდული მუშაობის პროგრამის წარმატებით განხორციელების ჩატარებული სამუშაოს თითქმის ნახევარს უდრის.

### ადაპტირების პროცესში გასათვალისწინებელი რამდენიმე საკითხი

**ხელმისაწვდომობის საჭიროებები - ანუ რა მჭირდება სრულფასოვანი მონაწილეობისთვის**  
დაიმახსოვრეთ, ხელმისაწვდომობის საჭიროებები ყველა მონაწილეს აქვს და არა მხოლოდ **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე** მონაწილეებს - ტულაქტი, სიგარეტი, ყავა, ბრაილის შრიფტი ეს ყველაფერი ხელმისაწვდომობის საჭიროების მაგალითებია.

<sup>4</sup>ფორმის მაგალითი იხილეთ დანართის სახით

### **ინფორმაცია ძალაა**

თუ რომელიმე საკითხში დარწმუნებული არ ხარ, ნუ მიიღებ გადაწყვეტილებას დაშვების საფუძველზე. იკითხე!

სწორი შეკითხვის დასმით თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია, რომელიც სივრცის და პროგრამის ადაპტირებაში დაგეხმარებათ.

შეეცადეთ მონაწილეებს აუხსნათ თუ რა არის ის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ ადაპტირების კუთხით, ვიდრე უბრალოდ უარით გაისტუმროთ ისინი.

### **როგორ ვიკითხოთ?**

რატომ კითხულობ? (სანამ კითხვას დასვამ დაფიქრდი ამაზე)

ნამდვილად გჭირდება ამის ცოდნა? შენ რომ გეკითხოებოდნენ როგორ იგრძნობდი თავს? ვინ ხარ? როგორ წარადგენ საკუთარ თავს?

როგორ აპირებ რომ დასვა შეკითხვა? შეკითხვის დასმის შენეული გზა არის თუ არა რესპონდენტისთვის ხელმისაწვდომი?

სად და როგორ სვამ შეკითხვას? ადგილი სადაც შეკითხვას სვამ და შეკითხვის დასმის ფორმა.

აუხსენი რესპონდენტს რატომ უსვამ შეკითხვას და როგორ გამოიყენებ მის მიერ მოცემულ ინფორმაციას.

ამის შემდეგ შეგიძლია - ი კ ი თ ხ ი !

## რჩევები ახალგაზრდული მუშაკებისთვის - ინკლუზიური აქტივობების დაგეგმვა

ახალგაზრდული მუშაობის აქტივობის განხორციელების ფაზა უშუალოდ დაგეგმილი აქტივობის პრაქტიკულ შესრულებას გულისხმობს.

**პროგრამული ნაწილი** - აქტივობის განხორციელება დაგეგმილი პროგრამის, აქტივობის შინაარსობრივი მხარის გარეშე წარმოდგენელია. შესაბამისად, ახალგაზრდული მუშაკები დიდ დროს ხარჯავენ იმაში, რომ აქტივობის პროგრამა ყველა მონაწილის ინდივიდუალურ საჭიროებებს მაქსიმალურად მოარგონ. პროგრამა, როგორც წესი, მოიცავს, გარკვეული სტრუქტურით განლაგებულ სესიებს, რომლებიც სხვადასხვა მეთოდების მიხედვით არის აგებული. ეს მეთოდები შესაძლოა იყოს: დებატები, როლური თამაში, სიმულაციური აქტივობა, პრეზენტაცია, ლაშქრობა, ექსკურსია და სხვა. მნიშვნელოვანია, აქტივობის ორგანიზატორებმა და პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პირებმა ახალგაზრდულმა პროგრამა ისე შეადგინონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეებს თითოეული შემოთავაზებული აქტივობის განხორციელების პროცესში სრულფასოვნად ჩართვაში ხელი არ ეშლებოდეთ.

**მაგალითი.** ერთ-ერთ საზაფხულო ბანაკში, რომელშიც, სხვა მონაწილეებთან ერთად, მცირემხედველი ახალგაზრდაც იღებდა მონაწილეობას, ახალგაზრდულმა მუშაკმა მონაწილეებს შესთავაზა სესია, სადაც მონაწილეებს სთხოვდნენ, სლაიდზე დატანილი ინფორმაცია წაეკითხათ და მის მიხედვით საკუთარი შთაბეჭდილებები დაეხატათ. პროგრამის შედგენის დროს ახალგაზრდულმა მუშაკმა ამ ეპიზოდში ვერ მოახერხა იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ მცირემხედველი მონაწილისთვის სლაიდზე პატარა შრიფტით დატანილი ინფორმაციის წაკითხვა ძალიან რთული იქნებოდა. შესაბამისად, მცირემხედველი მონაწილე სესიის მიმდინარეობას გამოეთიშა.

ახალგაზრდული მუშაობის პროგრამის განხორციელების პროცესში პროგრამული ნაწილი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მასში მონაწილეობა შეუფერხებლად შეეძლოს აქტივობაში ჩართულ ყველა მონაწილეს. რა თქმა უნდა, პროგრამული ნაწილის ადაპტირების პროცესში თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეებთან კონსულტაცია, თუ რა ფორმით იქნება მათთვის პროგრამის ადაპტირება უფრო მისაღები, პროგრამული ბარიერებისთვის თავის არიდების საუკეთესო გზაა.

**დამოკიდებულებითი ნაწილი** - ახალგაზრდული მუშაობის აქტივობის განხორციელებისას დამოკიდებულებითი ნაწილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეების მიმართ სხვა მონაწილეებისა და ორგანიზატორების დამოკიდებულებას გულისხმობს. შესაძლოა ორგანიზატორებს არ ჰქონდეთ კომპეტენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეების პროგრამული ნაწილის ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად გასაზრდელად, მაგრამ მათ უნდა ჰქონდეთ მზადობა მათი უკუკავშირი მიიღონ და რჩევები უშუალოდ

განხორციელების პერიოდში გაითვალისწინონ. ზოგჯერ ახალგაზრდული მუშაკები არ მიიჩნევენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეებს სრულფასოვან მონაწილეებად და აქტივობის განხორციელების დროს, მათ სრული მონაწილეობის შესაძლებლობას არ აღიარებენ. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეებისთვის ამ ტიპის აქტივობებში ჩართულობას მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი გამოცდილების მოტანა და მოტივაციის შემცირება შეუძლია. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდული მუშაკები უნდა იზიარებდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეების აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას არა მარტო პროგრამულ, არამედ სრულად, აქტივობის განხორციელების თითოეულ ნაწილში. შესაძლოა აქტივობის განხორციელება პროცესში წახალისოთ მონაწილეთა მხრიდან ერთმანეთის მხარდაჭერის პროცესი. ამ გზით პროგრამის არაოფიციალურ ნაწილშიც კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები სრულფასოვან ჩართულობას შეძლებენ (მაგალითად ღონისძიების დასასრულს მონაწილეები ერთმანეთს მხარს უჭერენ ქალაქის სკვერში კონცერტს დაესწრონ).

**რჩევა** - ახალგაზრდების ერთ-ერთ პირველ შეკრებაზე, როდესაც მონაწილეებს ერთმანეთის უკეთ გაცნობის დრო აქვთ, შესაძლებელია შესთავაზოთ აქტივობა, სადაც მონაწილეებს თავიანთ მიღწევებსა და წარმატებებზე საუბრის შესაძლებლობა ექნებათ. ჯგუფის მშენებლობის წასახალისებლად შესაძლებელია მონაწილეებს შესთავაზოთ აქტივობა, რომლის დროსაც მათ რაღაც საერთო პრობლემა ერთობლივად უნდა გადაჭრან. ამ ტიპის სავარჯიშოები ხელს უწყობს გუნდურობის ჩამოყალიბებას და, შესაბამისად, თქვენ შეძლებთ, სპეციფიკური აქცენტების გარეშე, ხელი შეუწყოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულების შეცვლას.

**გარემოს ხელმისაწვდომობა** - გარემოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს ახალგაზრდული მუშაობის აქტივობების განხორციელების პერიოდში, აქტივობის ჩატარების ადგილის იმგვარად შერჩევას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეებს, დამოუკიდებლად ან პირადი ასისტენტის მხარდაჭერით, შეეძლოთ აქტივობის განხორციელების პერიოდში, შეფერხებების გარეშე მონაწილეობა.

რა თქმა უნდა, თქვენს მიერ ორგანიზებული აქტივობის ჩატარების ადგილი შესაძლოა გარემოს ადაპტაციის სტანდარტებს არ აკმაყოფილებდეს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ, ერთი მხრივ, გარემოს ხელმისაწვდომობის საკითხები შეათანხმოთ და რჩევები მიიღოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეებისგან, მეორე მხრივ კი, თქვენ მუდმივად ეცადოთ ისეთ დაწესებულებებთან თანამშრომლობას, რომლებიც მათთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომ გარემოს შემოგთავაზებენ.

**მაგალითად,** ერთ-ერთ კურორტზე პიროვნული განვითარების თემაზე 3-დღიანი ბანაკი ჩატარდა. ბანაკის ერთ-ერთი მონაწილე უსინათლო სტუდენტი იყო. აქტივობის დასრულების შემდეგ, მან ორგანიზატორებს რეკომენდაციით მიმართა, შემდგომში გარემოს ადაპირების საკითხი გაეთვალისწინებინათ და იმაზე ეზრუნათ, რომ ბანაკის ჩატარების ადგილი ხელმისაწვდომობის სტანდარტებთან უფრო მეტად მიახლოებული ყოფილიყო. ორგანიზატორებმა ჩათვალეს, რომ სტუდენტის რეკომენდაციების მიზეზი ბანაკის ხელმისაწვდომობით მისი უკმაყოფილება იყო. სტუდენტმა ორგანიზატორებს განუმარტა, რომ ის ბანაკის განმავლობაში თავს კომფორტულად გრძნობდა, როგორც მონაწილე და როგორც პიროვნება, თუმცა ისურვებდა, რომ მისი დადებითი დამოკიდებულება ორგანიზატორების თვითკმაყოფილების მიზეზი არ გამხდარიყო და არ გადაეწყვიტათ, რომ მომავალში უფრო მეტად ხელმისაწვდომი გარემოს შერჩევა აღარ დასჭირდებოდათ. შესაბამისად, ორგანიზატორებმა გაანალიზეს, რომ უსინათლო მონაწილის კმაყოფილება არ ნიშნავდა, რომ მომავალი აქტივობებისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი გარემოს შერჩევა არ უნდა ეცადათ.

### **პირადი ასისტენტი**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეები ხშირად აქტივობებს პირად ასისტენტებთან ერთად ესწრებიან. პირადი ასისტენტი შესაძლოა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილის ოჯახის წევრი, მეგობარი ან სპეციალურად დაქირავებული პირი, რომლის ძირითადი ფუნქცია არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მხარდაჭერა ყოველდღიური სოციალური ფუნქციონირების პროცესში. აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილე პირად ასისტენტთან ერთად ესწრება თქვენ მიერ ორგანიზებულ აქტივობას, თქვენ უნდა გაითვალისწინოთ აქტივობაში პირადი ასისტენტის მონაწილეობისთვის საჭირო ხარჯები.

გაითვალისწინეთ რამდენიმე რჩევა ეთიკის ნორმების შესახებ, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეების ასისტენტებთან კომუნიკაციის პროცესს ეხება:

- პირადი ასისტენტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილის მხარდამჭერია, შესაბამისად, ისინი ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას, თქვენს მიერ ორგანიზებული აქტივობის რომელ ნაწილს დაესწროს პირადი ასისტენტი და რომელს არა.
- პირადი ასისტენტი არ არის თქვენს მიერ ორგანიზებული აქტივობის მონაწილე, ამიტომ, თუ ის აქტივობის სამუშაო პროცესის გარკვეულ ან სრულ ნაწილს ესწრება, აღიქვით ის არა როგორც მონაწილე, არამედ როგორც პროფესიონალი, რომელიც მონაწილეს ჩართულობის ხარისხის გაზრდაში უჭერს მხარს.
- პირადი ასისტენტი პიროვნებაა, ამიტომ მხოლოდ ასისტენტობის ფუნქციის მქონედ ნუ აღიქვამთ. მონაწილესთან და მის ასისტენტთან შეთანხმებით, ასისტენტს მისი ფუნქციის სრულფასოვნად შესრულებაში დაეხმარეთ.



დამახსოვრეთ შესაძლოა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდამ თავად გთხოვით პირადი ასისტენტის გამოყოფა, რომელიც პროგრამული სავარჯიშოების შესრულებაში დაეხმარება (მაგალითად შეხვედრის ოთახში გადაადგილება, ფურცელზე დაწერა და ა.შ). ამიტომ მზად იყავით, რომ ამ ფუნქციის შესრულება შესაძლოა თქვენ ან თქვენს ორგანიზაციაში მომუშავე სხვა პირს მოუწიოს.

იმისათვის, რომ ახალგაზრდული მუშაობის პროგრამის ადაპტირების გამოცდილება არ დაიკარგოს, შეეცადეთ:

- აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში საორგანიზაციო ჯგუფიდან გამოყოთ ერთი ადამიანი, რომელიც აქტივობის მიმდინარეობის პროცესში მნიშვნელოვან საკითხებსა და მოსაზრებებს ჩაინიშნავს.
- სამუშაო შეხვედრების დროს დაშვებულ შეცდომებზე გულახდილად ილაპარაკოთ და საუკეთესო გამოსავალი ერთად მოძებნოთ.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეების მონაწილეობის ხარისხის გაზრდაში მნიშვნელოვნად დაეხმარებათ, თუ შეფასების დროს მათ ჰკითხავთ, რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ შემდეგი შეხვედრების დროს.
- გაანალიზოთ ყველა დაუგეგმავი ხარჯი, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეების ჩართულობას უკავშირდებოდა და ეს ინფორმაცია შემდეგი პროექტებისთვის გაითვალისწინეთ.
- გაანალიზოთ აქტივობის განხორციელების დროს წარმოჩენილი მნიშვნელოვანი გამოწვევები. შესაძლებელია თქვენი მომავალი პროექტი სწორედ მათ საპასუხოდ დაიგეგმოს.

აქტივობის მოკლე ანგარიში აუცილებლად გაუზიარეთ მონაწილეებს და იმაზე ფიქრი დაიწყეთ, თუ როგორ შეგიძლიათ არსებული ადამიანური რესურსი (გაძლიერებული მონაწილეები) შემდეგი ინკლუზიური პროექტების ორგანიზებისთვის გამოიყენოთ.

### იდეები პრაქტიკისთვის - მაგალითი აქტივობის ადაპტირებისთვის

აქტივობის ადაპტირების პროცესის წარმოსადგენად გთავაზობთ შესაბამის მაგალითს. წარმოიდგინეთ, რომ ახალგაზრდების ჯგუფში გამოიკვლიეთ ხელმისაწვდომობის საჭიროებები, გაანალიზეთ მიღებული ინფორმაცია და შეადგინეთ საჭიროებების სია, რომელიც აქტივობის ადაპტირების პროცესში უნდა გაითვალისწინოთ.

#### ხელმისაწვდომობის საჭიროებების სია:

1. ერთ მონაწილეს სჭირდება 16 ზომის შიფტით დაბეჭდილი ინფორმაცია.
2. ერთ მონაწილეს სჭირდება ყველა მასალა განლაგებული იყოს მაქსიმუმ 1 მეტრის სიმაღლეზე.
3. ერთ მონაწილეს ყოველ 30 წუთში სჭირდება 5 წუთიანი შესვენება.

მოდით ვნახოთ, როგორ ავსახავთ აღნიშნულ საჭიროებებს ახალგაზრდებთან განსახორციელებელი აქტივობის პროცესში, რომელიც კონფლიქტის მართვის თემაზეა. აღნიშნულ მაგალითში ახალგაზრდული მუშაკი ფასილიტატორის როლს ასრულებს.

აქტივობის სახელი	<b>ბრძოლა ფორთოხლისთვის</b>
ხაგრძლივობა	90 წუთი
მოკლე აღწერა	სესიის განმავლობაში მონაწილეები ჩაერთვებიან სახალისო თამაშში და თამაშის გზით დაფიქრდებიან კონფლიქტის მნიშვნელობაზე.
მონაწილეთა რაოდენობა	15-20 მონაწილე
სასწავლო ამოცანები	<ul style="list-style-type: none"> <li>შესაძლებლობა მისცეს მონაწილეებს გაანალიზონ კონფლიქტის როლი თავიანთ ცხოვრებაში;</li> <li>ხელი შეუწყოს მონაწილეებს აღმოაჩინონ კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები;</li> </ul>
საჭირო რესურსები	1 ფორთოხალი, ფერადი ფურცლები, ფლიფ-ჩარტი
აღწერა ნაბიჯ-ნაბიჯი  (შინაარსი, მეთოდოლოგია)	<p><b>ბრძოლა ფორთოხლისთვის</b></p> <p>40 წუთი</p> <p>ფასილიტატორი ჯგუფს ორ ნაწილად ჰყოფს და ცალ-ცალკე ერთმანეთისგან მოშორებით აძლევს მითითებას, რომ მათ უნდა მოიპოვონ ფორთოხალი. პირველ ჯგუფს სჭირდება ფორთოხალი ფორთოხლის წვენი გამოსაწურად, მეორეს კი - ფორთოხლის კანი ფორთოხლის ნამცხვრის გასაკეთებლად. შემდეგ ფასილიტატორი დებს ფორთოხალს ორი გუნდის შუაში და აძლევს ნიშანს, რომ გუნდებმა იმოქმედონ ფორთოხლის მოსაპოვებლად. როგორც წესი ერთი მონაწილე თავიდანვე იღებს ფორთოხალს და გუნდები იწყებენ მოლაპარაკებას. თამაში, რომ უფრო საინტერესო გახდეს შეგიძლიათ წესების ახსნა დამაბული და სერიოზული ტონით დაიწყოთ. თამაში როგორც წესი 5 წუთის მოლაპარაკების შემდეგ.</p> <p>შენიშვნა: აუცილებლად უთხარით მონაწილეს, რომ თამაშის პროცესში აგრესია და ფიზიკური დაპირისპირება დაუშვებელია.</p> <p>ამ თამაშში საკმარისი დრო უნდა დაუთმოთ დისკუსიას. თქვენი, როგორც ფასილიტატორის მიზანია მონაწილეები მიიყვანოთ კონფლიქტის თემის განხილვამდე.</p> <p>გამოიყენეთ შემდეგი შეკითხვები სავარჯიშოს დასახურად:</p> <p>პროცესი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- რა მოხდა თამაშის დროს?</li> <li>- როგორ მოიქცა თითოეული გუნდი?</li> <li>- რა სტრატეგია აირჩიეთ საჭირო ნივთის მოსაპოვებლად?</li> <li>- გაგიჭრიდათ მისიის შესრულება? რატომ?</li> </ul>

- აკვირდებოდით თუ არა სხვა მონაწილეებს? რა შეამჩნიეთ?

ანალიზი

- რას გვასწავლის ფორთხლის თამაში?
- დაგაფიქრათ თუ არა რაიმე საკითხზე?
- რომელი სტრატეგია უფრო გამართლებული იქნებოდა? ეფექტური? მომგებიანი?
- რატომ არ აირჩიეთ სხვა სტრატეგია? ვინ გადაწყვიტა რა სტრატეგიას აირჩევდით?
- ჰქონდა თუ არა ადგილი კონფლიქტს?

გამოცდილება

- როგორ დაუკავშირებთ თამაშს რეალურ ცხოვრებას?
- ხშირად მივმართავთ მსგავს სტრატეგიებს, როგორც თამაშის დროს გამოიყენეთ? რატომ?
- როგორ მოიქცეოდით მსგავსი სიტუაცია რეალურად რომ ხდებოდა?
- ხომ არ გავიზიარებთ მსგავს მაგალითებს ცხოვრებიდან?

**კონფლიქტი და კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები**

40 წუთი

ფორთხლის თამაშის შემდეგ ეტაპზე გააცანით მონაწილეებს მოკლე ინფორმაცია კონფლიქტის შესახებ:

- კონფლიქტი ბრძოლაა ორი ან მეტი ადამიანის ღირებულებებს შორის, ან - კონკურენცია სტატუსის ძალაუფლების და მწირი რესურსების მოსაპოვებლად (Chris Moore).
- კონფლიქტი არის უკმაყოფილების ან უთანხმოების გამოხატვა ურთიერთობასთან, პროცესთან, პროდუქტთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით (Costantino and Merchant).
- კონფლიქტი ერთგვარი შეჯიბრია ორ დამოუკიდებელ მხარეს შორის, რომლებიც აღიქვამენ, რომ მათი მოთხოვნილებები, მიზნები, სურვილები ან იდეები ურთიერთშეუსაბამოა(Erik Van
- კონფლიქტი გამოხატული ბრძოლაა სულ მცირე ორ დამოუკიდებელ მხარეს შორის, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მეორე მხარე მათ ხელს უშლის მიზნების მიღწევაში ერთმანეთთან შეუსაბამო მიზნებისა და ორივესთვის არასაკმარისი ჯილდოების ფონზე. (Kiely and Crary)

### კონფლიქტის წყაროები

კონფლიქტი გარდაუვალია. ეფექტური მართვის შემთხვევაში კონფლიქტი ხელს უწყობს დინამიურ აზროვნებას, წახალისებს ერთობლივად გადაწყვეტილების მიღებას, შედეგად ვიღებთ შემოქმედებით და ყოველმხრივ გააზრებულ გადაწყვეტილებას. ყოველდღიურად კონფლიქტი შემდეგი ფაქტორების გავლენის შედეგად ჩნდება. **(ამ ნაწილზე გაამახვილეთ ყურადღება)**

### ურთიერთობები

- მოლოდინები, აღქმები, დაშვებები;
- გაერთიანებები, ალიანსები, ისტორია;

### ინტერესები

- ინდივიდუალური, ჯგუფის, ორგანიზაციის;

### სტრუქტურა

- ადმინისტრაცია, მენეჯმენტი
- პოლიტიკა, პროცედურები, პრაქტიკა;

### ღირებულებები

- მსგავსებები და განსხვავებები;

### მონაცემები

- ინფორმაციის ნაკლებობა, არასწორი ინფორმაცია;
- ინფორმაციის განსხვავებული ინტერპრეტაცია;

მოკლე შესავლის შემდეგ ესაუბრეთ მონაწილეებს კონფლიქტის მოგვარების 5 სტრატეგიის შესახებ (Thomas-Kilmann Conflict Mode Instrument) - იხილეთ ინფორმაცია დანართში.

აუხსენით მონაწილეებს, რომ არ არსებობს ერთი საუკეთესო სტრატეგია და სხვადასხვა დროს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებაა მართებული.

იმისათვის, რომ მონაწილეები არ გადაიტვირთონ თეორიით, შეგიძლიათ აირჩიოთ თითოეული სტრატეგიისთვის შესაფერისი ცხოველი. ამოხეკდით ცხოველების ფოტოები და იატაკზე განალაგოთ ისინი. შემდეგ, მონაწილეებთან ერთად შეეცადეთ თითოეული ცხოველის ფოტო, თითოეულ სტრატეგიას შეუსაბამოდ. ეს პროცესი ინფორმაციას მონაწილეთათვის უფრო სახალისოს გახდის.

	<p><b>შეჯამება</b></p> <p>10 წუთი</p> <p>შეაჯამეთ აქტივობა ქვემოთ მოცემული შეკითხვები გამოყენებით.</p>
--	--

ამ აქტივობის ადაპტირებისთვის ახალგაზრდული მუშაკი გააკეთებდა შემდეგს:

**ერთ მონაწილეს სჭირდება 16 ზომის შრიფტით დაბეჭდილი ინფორმაცია**

- ფორთოხლის თამაშის დროს დასარიგებელი ყველა ინსტრუქცია დაიბეჭდება 16 ზომის შრიფტით.
- ✓ **ერთ მონაწილეს (ეტლით მოსარგებლე) სჭირდება ყველა მასალა განლაგებული იყოს მაქსიმუმ 1 მეტრის სიმაღლეზე**
- ფორთოხალს ფასილიტატორი მოათავსებს ეტლით მოსარგებლე მონაწილისათვის ადვილად ხელმისაწვდომ ადგილას.
- ფასილიტატორი მონაწილეს შესთავაზებს სჭირდება თუ არა მას მხარდაჭერა სწრაფი გადაადგილების შემთხვევაში (რადგან აქტივობა სისწრაფერს მოითხოვს).
- ✓ **ერთ მონაწილეს ყოველ 30 წუთში სჭირდება 5 წუთიანი შესვენება**
- ფასილიტატორი სავარჯიშოს წარდგენისას მონაწილეებს აუხსნის როგორი მიმდინარეობით გაატარებენ 90 წუთს, ისე, რომ თამაშის საიდუმლო არ გაუმხილოს. მაგალითად 10 წუთი დაეთმობა ინსტრუქციის მიცემას, 20 წუთი თამაშს და ა.შ.
- ფასილიტატორი მონაწილეებს სთავაზობს ფორთოხლის თამაშის დასრულების შემდეგ და განხილვის დაწყებამდე მოაწყონ 5 წუთიანი შესვენება და სთხოვს მათ დაიცვან დრო. ასევე, განხილვის გაგრძელების შემთხვევაში, ფასილიტატორი მონაწილეებს ეკითხება სჭირდებათ თუ არა კიდევ 5 წუთიანი შესვენება თეორიული მასალის მიმოხილვამდე, ისე რომ დაიცვას 30 წუთიანი ინტერვალები.

როგორც ხედავთ, თითქმის ყველა შემთხვევაში, ფასილიტატორი არ უსვამს ხაზს, რომ აქტივობაში შეტანილი ცვლილებები მხოლოდ ერთ ადამიანს შეეხება, არამედ ცდილობს მისი აქტივობა უნივერსალურად ყველაზე იყოს მორგებული. მაგალითად, იგი არ ეუბნება მხოლოდ ერთ მონაწილეს, რომელსაც შესვენება სჭირდება გავიდეს შესასვენებლად და დანარჩენმა ჯგუფმა მუშაობა გააგრძელოს, არამედ საშუალებას აძლევს მთლიან ჯგუფს შეისვენოს, რაც საერთო ჯამში აქტივობის მიმდინარეობის დროს ყველას ჩართულობის პრინციპს არ არღვევს.

## ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობის მდგრადობა, ინკლუზიური კულტურის დანერგვა ორგანიზაციაში

შესაძლოა თქვენ მიერ განხორციელებული ახალგაზრდული მუშაობის აქტივობა ერთჯერადი ინიციატივა აღმოჩნდეს. ზოგჯერ ინკლუზიური პროექტების განხორციელების ინტერესი მხოლოდ ინდივიდებს აქვთ და არა ორგანიზაციებს. ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობის მდგრადობისთვის მნიშვნელოვანია, ორგანიზაციები დაინტერესებული იყვნენ, ჩამოიყალიბონ ხედვა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების თავიანთ აქტივობებში არა მხოლოდ ერთჯერად, არამედ გრძელვადიან, მენისტრიმულ ჩართულობას შეუწყონ ხელი.

თქვენ, როგორც ახალგაზრდულ მუშაკებს, შესაძლებლობა გაქვთ, ორგანიზაციების ინკლუზიური ხედვა უფრო მეტად სტაბილური და მდგრადი გახადოთ. ამისთვის:

- ესაუბრეთ ორგანიზაციის გადაწყვეტილების მიმღებ პირებს იმ დადებით შედეგებზე, რაც ინკლუზიური პროექტების განხორციელებას მოაქვს. დაუსახელეთ კონკრეტული მაგალითები და ფაქტები.
- შეეცადეთ, დაიწყოთ მუშაობა იმაზე, რომ თქვენმა ორგანიზაციამ ინკლუზიურობის სტრატეგია შეიმუშაოს. ხშირად ორგანიზაციებმა არ იციან, როგორ გაზარდონ ინკლუზიურობა. ამისთვის სტრატეგიის დოკუმენტის ან სამოქმედო გეგმის შემუშავება კარგი საშუალებაა. იყავით ინიციატორები, თქვენს ორგანიზაციაში შეიქმნას მსგავსი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ ტიპის დოკუმენტის შექმნაზე იმუშავებს. თუ ექსპერტული დახმარება გჭირდებათ, სამუშაო ჯგუფში მოიწვიეთ შეზღუდული შესაძლებლობის პირები ან შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები.
- შეეცადეთ, ხელი შეუწყოთ შეზღუდული შესაძლებლობის პირების ჩართულობას არა მხოლოდ მონაწილის როლში, არამედ ორგანიზატორის/ლიდერის ფუნქციითაც. ამ ტიპის ჩართულობა ორგანიზაციას შეუწყობს ხელს განავითაროს ხარისხიან მონაწილეობაზე დაფუძნებული ინკლუზიური გარემო.

## ინკლუზიური ახალგაზრდული მუშაობის გავრცელების გზები

ახალგაზრდულ მუშაობაში აქტიურად ჩართულ ძალიან ბევრ ადამიანს ძნელად წარმოუდგენია, თუ როგორ არის შესაძლებელი ახალგაზრდული მუშაობის პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არმქონე მონაწილეების ერთობლივი ჩართულობა. თუ არ გამოსცადე, წარმოდგენა, რა თქმა უნდა, რთულია. ჩვენს ირგვლივ არიან პროფესიონალები, რომლებიც კონკრეტული ნაბიჯის გადადგმას შესაძლოა უბრალოდ ვერ

ბედავენ. ზოგს შეიძლება თავდაჯერება აკლია, ზოგი სტერეოტიპულად აზროვნებს და ინკლუზიის არ სჯერა, ზოგსაც კი ჰგონია, რომ ეს უკანასკნელი უამრავი ენერჯის ხარჯვას მოითხოვს.

მას შემდეგ, რაც თავად დარწმუნდებით, რომ შერეული შესაძლებლობის პროექტების ორგანიზება შესაძლებელია, დროა თქვენი კოლეგებიც და არაფორმალურ განათლებაში ჩართული მოხალისეებიც შთააგონოთ, რომ აქტივობების ინკლუზიურობის წახალისება მათაც სცადონ.

შეგიძლიათ, მაგალითად:

- მოაწყოთ საინფორმაციო შეხვედრები, სადაც კოლეგებს სხვადასხვა კარგი პრაქტიკის მაგალითებზე ესაუბრებით.
- ინკლუზიური პროექტების ორგანიზებით დაინტერესებულ პირებს შეზღუდული შესაძლებლობის, ინკლუზიისა და შერეული შესაძლებლობის პროექტების შესახებ სხვადასხვა საკითხავი და საილუსტრაციო მასალა გაუზიაროთ.
- თავად უზრუნველყოთ სხვადასხვა საინფორმაციო მასალისა და დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადება-გამოცემა, რომელთაც ბევრი დამწყები სიამოვნებით გამოიყენებს.

ამ პროცესში გქონდეთ სურვილი, მოტივაცია და ენთუზიაზმი, საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ნამდვილ ინკლუზიას შეუწყობთ ხელი. საზოგადოებაში ინკლუზიის პროცესი კი რატომაც არ დავიწყოთ ახალგაზრდული მუშაობით?!



## დამატებითი რესურსები

1. გარემო და სივრცის ადაპტირების საკითხები შერეული შესაძლებლობის ახალგაზრდული მუშაობის აქტივობებისთვის - იხილეთ დეტალური რჩევები სახელმძღვანელოში „არა ბარიერებს არა საზღვრებს“ <https://www.salto-youth.net/downloads/4-17-3023/NoBarriersNoBordersGE.pdf>
2. ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების შესახებ - კოალიცია დამოიკიდებელი ცხოვრებისათვის - [www.disability.ge](http://www.disability.ge) ;
3. თანამშრომლობა დღის ცენტრებთან - იხილეთ ასოციაცია „ანიკას“ ვებ გვერდი [www.anika.ge](http://www.anika.ge);
4. თანამშრომლობა დღის ცენტრებთან - იხილეთ კარიტასის ვებ გვერდი - [www.caritas.ge](http://www.caritas.ge);
5. სატრენინგო მასალა სოციალური ინკლუზიის შესახებ (ინგლისურად) - <http://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/t-kit-8-social-inclusion> (ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ახალგაზრდული თანამშრომლობა)

გზამკვლევთან დაკავშირებული კომენტარებისთვის და/ან უკუკავშირის გასაზიარებლად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ავტორს ელ-ფოსტის მეშვეობით: [sulxanchargeishvili@gmail.com](mailto:sulxanchargeishvili@gmail.com)

მაქსიმალურად ვეცადეთ, მიგვეთითებინა ნაშრომში გამოყენებული ცალკეული მასალების/ციტირებების ავტორები (იხ. ბიბლიოგრაფია). იმ შემთხვევაში თუ გაქვთ სურვილი მოგვაწოდოთ ინფორმაცია გზამკვლევში გამოყენებულ ციტირებების ავტორების შესახებ, დაუკავშირდით გზამკვლევის ავტორს მითითებული ელ-ფოსტის საშუალებით.

მონაწილეთა საჭიროებების საორიენტაციო კითხვარი

შევსებული კითხვარის დამუშავების შედეგად ახალგაზრდულ მუშაკს საშუალება ეძლევა მოახდინოს ჩასატარებელი პროგრამის ადაპტირება ჯგუფის წევრების ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, რათა პროგრამის პროცესი ყველასთვის მაქსიმალურად საინტერესო და სახალისო იყოს.

შენიშვნა: ანკეტა კონფიდენციალურია და გამოყენებული იქნება მხოლოდ ტრენინგის საორგანიზაციო მიზნებისთვის.

1. გაქვთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობა? თუ კი გთხოვთ აღწეროთ -----  
-----  
-----
2. გჭირდებათ თუ არა სამუშაო მასალები ბრაილის შრიფტით?-----  
----
3. გჭირდებათ თუ არა სამუშაო მასალების წასაკითხადელექტრონული მოწყობილობა (ლექტოპი, სმარტფონი და სხვა)-----  
-----
4. გჭირდებათ თუ არა ჟესტური ენის თარჯიმანი?-----  
----
5. გჭირდებათ თუ არა პროგრამაში მონაწილეობის პერიოდში პირადი ასისტენტის მომსახურება? (დადებითი პასუხის შემთხვევაში, შეძლებთ თავად მოიძიოთ პირადი ასისტენტი თუ გსურთ ორგანიზაციის მხარდაჭერა?)-----  
-----  
-----
6. გთხოვთ მიუთითოთ სხვა საჭიროებების შესახებ, რომელიც ორგანიზატორებმა უნდა გაითვალისწინონ პროგრამის დაგეგმვის პროცესში?-----  
-----  
-----

-----  
-----

7. მიგილიათ თუ არა მსგავს აქტივობებში მონაწილეობა? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, ჩამოთვალოთ აქტივობები, რომლებშიც მონაწილეობა გაქვთ მიღებული.-----  
-----  
-----

8. რატომ გადაწყვიტეთ ამ აქტივობაში მონაწილეობა? -----  
-----  
-----

9. გაქვთ თუ არა გარკვეული კვებითი საჭიროებები: სპეციალური დიეტა, გარკვეული ფაქტურის ან ფორმის საკვები, საკვები გლუტენის გარეშე, სამარხვო საკვები და ა.შ -----  
-----  
-----

10. დამატებითი კომენტარები-----  
-----  
-----

**გისურვებთ საინტერესო თავგადასავლებით სავსე პროცესს!**

## გამოყენებული ლიტერატურა

Geudence, T. (2013). *No Barriers No Borders - Organizing International Mixed-Ability projects* . SALTO Inclusion.

Todd, Z. (2010). How to support disabled and non-disabled children and young people to work together in inclusive groups . *Participation Works* .

Wapling, S. C. (2010). *Travelin Together how to include disabled people on the main road of development*. World Vision.

სულხანი, ჩ. (2016). კონცეფცია "ახალგაზრდული მუშაობის როლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების პროცესში". თბილისი: People in Need Georgia.

შაღაშვილი, მ. (2015). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა. თბილისი: საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

ჩარგეიშვილისულხანი, ჯ. გ. (2016). გზამკვლევი - უსინათლო და მცირემხედველი პირების ინკლუზია არაფორმალური განათლების აქტივობებში. თბილისი: ორგანიზაცია "მარიანი".